

გაზეთის ფასი

თვილისში და გარეუბნებში	ბაზუზაფინით	ბაზუზაფინითა:
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —
ერთის თვისა	— 1 —	— — — 75 კ.
სალკე ერთის ნომრისა	— — —	— — — 15 კ.

ფროსბა

ხელის-მოწერა მიიღება: **ქართული**
თვილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიძის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, შატერის სახლში.
თვილისის გარეუბნებში მცხოვრებთათვის — აღმოს. В. Тифлисе. В. контору редакції грузинской газеты „ВРЕМЯ“.
ქუთაისში — ბ. ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლალუასთან ბაგრატიონის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ.

სეტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებში“ დასაბუქლად, მაგრამ, რომლისმე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.
 თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მთავრდება.

ბედნიერი დღეების გამოისობით ეს ნომერი, წასული პარასკევის მაგიერათ, გამოდის დღეს, ხუთშაბათს. ხელო გამოცა შემდეგი, მეტოთხმეტე ნომერი.

ჩამი სამახსოვრო წიგნიდან

მიზანტროპის დაკვირვება და ფანტაზია

გაზაფხული — მუდმივი ცივიცა, გული კედება — ახალგაზდა ქალების „სტუმრობა“ — შიკრი მათ მომავალზე — რა მოუღებს ბოლოს მათ აღიქმებს? — „ნატაშას აზიზი“ — სად მოდის იმედი? — შიშვ-დობის შესხმა — ჩემი ავთომოფი ტინის ძაფები, კარგი ტაროსი და შუე — რა პირობით ვაძლევ მე შუეს გამხარულების ნებას — სიყვარულზე — რას ეძებს კაცი სიყვარულში, და რას პოულობს? — სიყვარული რა ღირს? — ბებრუხა და ახალგაზდა — ვიქტორის აზრი ნაპოლეონზე და ომზე — სინარბე და შური — რა აღუღებს ჩვენ გრძობას? — ცხენებზე და ზოგი სხვებზედაც — შიშვლოლა ჯამბაზი — შიშვლოლა.

პილდე „მნათობს“ (პასუხის მაგიერ)

ტირა, 28 მარტს; შუადღე.

გაზაფხულიც ამისთანა უნდა! რა მშვენიერი დღია, დღევანდელი დღია, რა გაცხოველებული სითბო უფლება კაცს ტანში, რა ნაირი სიჩქარით სცემს ზამთრის შუშით გაგრილებული გული! — მკერდი ისეთი სიხარბით დღვავს, თითქო ეშურება რაც შეიძლება უფრო ძალე და უფრო ბლომათ შთაინთქვას ძალის მიმცემი, სუნელოვანი გაზაფხულის ჰაერი, და მთელი არე-მარცხ, სადღესასწაულოთ აქრელებული და გამწვანებული, ღიმილით, კასკასით შეხარის ადამიანის მოძრაობას, თითქო ეუბნება: „გაზაფხულია, ვერ ხედავ, იცხოვრეო...“

ნეტავი, ამ ბედნიერ, ბრწყინვალე დროს! რა თვალმოუკერვლოთ, უცერათ სცელის ის კაცის აზრს და ზნეობრივ ცხოვრებას! ბუშინ არ იყო, რომ ზნელი მარტის დაუდგომელი ტაროსი შეუბრალებლათ ჰკაფედა კაცში ყოველს ნათელ აზრს და მღიმაზე იმედს, და ზნელი ღრუბლით ხურავდა მის უიმისოთაც ზნელ ცხოვრებას! სად იყო მაშინ იმედი, სინათლე, მოსვენება? სად იყო მხატვ, ნოყიერი, ყუათის მომგვრელი ჰაერი? დღონებულათ უცემდა მაშინ კაცს გული, მომაკდინებელი სიზარმაითი, და წვიმის სიბნელეს შერყეული ტინი ვერცკი ჰტიკრობდა, რომ მოცა დრო, და წვიმა გადიდებს, მზე კიდევ გამოიჭერეს, ცა ხელახლავ გაკამკამდება... დღეს კი კაცს გუშინდელი ტყვიის გვარი ჰაერის სიმძიმე თავიდან მოშორება, დაეწყებულ სიზმარიეით...

მართლა, რანაირი აღმტაცი სიმჩატე, ღონე და ხალისი აბეჭდია დღეს კაცის მოძრაობას და მოქმედებას! დღეს კაცი კი არ დადის — დათამაშობს, მისი სხეული კი არ ინძრევა — ირხევა, მისი ფეხები, სიარულის მაგიერათ, ცეკვაში ეარჯიშობენ და ხელები, თავი, ტანისამოსი, ისეთი აღმტაცი სინაზით დათამაშობენ, თითქო გაზაფხულის ჰაერი თითოეულ ხის შტოებს და ახალ გამოსულ კვირტს და ფოთოლს მჭყნბახის ხმებს სტაცებს...

და კაცის გული ისეთ ნაირი სიფხიზლით უდგებს ყურს ამ უსმენელ ხმებს, ისე მხიარულათ ხტის და ცუნდრუკებს, გამვლელ-გამომვლელი ქალის და კაცის ქუსლების ხმაურობაზე, თითქო მის გონებას და ტინს, მის ცხოვრებას მისთვის სხვა რამე საქმე არ მიეჩინოს, თითქო ბუნება ყველა მხრიდან უყვიროდეს: „იცივე, იცხოვრე. ისიამოვნეო.“

„სცოვრება, სიამოვნება!...“ მკვასა და კლდეს ლაპარაკი რომ შესძლებოდათ, დღეს კაცი იმთვინე ამ ორი სიტყვის მეტს ვერას გაიგონებდა. თითქო ქუჩის მტყერს დღეს თვალში და ყელში, ტინამდი და ფილტვამდი ჩაქონდა ის ძლიერე და ამდლებული გრძობა, რომელსაც ამ სიტყვებით ხატვენ ხოლმე. და მაშინ გაღვიძებული, ფრთა გამოსხმული გონება წინდაუხედავით იხატავდა სანატრელ ცხოვრების სისიამოვნო მხარეს, და აღმტაც ერთმანეთზე უკეთეს სურათებს და უბოლოებლათ ერთს მეორეზე ასკვნავდა...

აი, დღეს სწორეთ ბრძანა და ყრუსაც კი შეუძლია ამდელი ცხოვრებაში დაინახოს იმპოეტის სიტყვების სიმართლე, რომელიც ამბობს: „რა მშვენიერათ იღვიძებს დაინებული ბუნება...“

მართლაც, მშვენიერი გაღვიძება არაა, მამ რაა, დაუღამელი ზანტაზიის ფრენა ერთ აღმტაცი სურათიდან მეორისკენ, როცა ჩვენ გონებას წამსწუმ ახლ-ახალი სანახაეები თვალ წინ ეშვება, და თითოეული მათგანი მეორე, უკეთესი სანახაეის სურვილს სძრავს გულში? „ბუნების გაღვიძების“ მეტი, სხვა რა სანელი ეკადრება იმ გრძობას, რომელიც მოუთმენარი სიჩქარით და სიმჩატით ხეირიანი, გამბედავი, მიზნიანი ცხოვრების სურათებს და ასარჩებს თვალ წინ უშლის კაცს? „ბუნების გაღვიძება“ ამაზე უკეთესი იქნება, როცა კაცი გრძობს, რომ მისი ცხოვრების გაუკეთესება შესაძლებელია, როცა იმას ისეთი ცხოვრების მაგალითები აგონდება, რომელიც ერთი ათასად და ათი ათასად სჯობია მის ეხლანდელ მდგომარეობას, როცა მის გულს მოძრაობის სურვილი იტაცებს, როცა იმას სიყვარული და ბრძოლა ეხარბება, როცა მისი დამშვეული ბუნება, ერთი გრძობით დაკმაყოფილებული, მეორეს, ახალს, უკეთესს ეძებს და მისკენ მოუთმენლად მიეშურება...

მითი საათის შემდეგ. დღეს, სწორეთ მშვენიერათ იღვიძებს მიძინებული ბუნება! დღეს მე ამ გამოღვიძებას დაეკვირდი, და მართალი უნდა ეთქვა, რომ ბუნება მშვენიერათ იღვიძებს. მისი ცელი ზურმუხტის ფერათ ამწვანებულია. აქ იქ თოვლსავით გასვეტაკებულ კვირტებს თვალთ გამოუკეტეთათ, და ჰაერი ხუმრობა გაშვებით ზამთრისაზე უფრო ხშიანი, მყუდრო და სუნელოვანია; წყალი აჩქარებით, ქიფიანათ, ღრილ-ღრთალით მირბის და თავის სიჩქარით ცხოველებს და ადამიანსაც ფებს აჩქარებინებს. — საზოგადოება?

საზოგადოებასაც უგრძენია ბუნების გაღვიძება, ისეც აყოლია მის ფეხის ხმას, იმასაც მონდომება გაახლება და გამშვენიერება.

და ამ გრძობის დასაკმაყოფილებლათ იმას... (ეინ იცის, იქნება ამასაც გაღვიძება დაარქვას კაცმა!) იმას ზია-ზია, აქრელებული ტანისამოსი ჩაუცვავს, და ამ გარეგანი გახლებით შინაგანი სიბერე და უძლიერება მიუშალავს...

მს მოგონება ერთბაშათ ჰკაფავს კაცის აღტაცებულ გრძობას, და გაზაფხულის გამცხოველებელი ძალა ზაფხულის ნიავსავით იკარგება ცხოვრების მიძიმე და მიძინებულ უმოძრაობაში. ძაცს ხელი ექაფება სასარგებლო, მისთვის და ქვეყნისთვის სახეირო საქმეზე; დამშვეულსავით ეძებს ის მოქმედების ასარჩებს, ეძებს ვისთვისმე სასიკეთოთ გამოდგის, რომ მისი ცხოვრება ფუჭად, კვალდაუტოებლათ არ გაქრეს და მისი ძალა უმიზნოთ, უმოქმედოთ არ დაიფანტოს... ხარბათ ეძებს ის მომხრეს, დამხმარეს, ისეთ ამხანაგს, რომლის გული მის გულსავით ძვერდეს, ეძებს დაუფიქრებელი, დაუნანებელი სიყვარულის ღირს პირებს, რომელთათვისაც თავის თავის დაიფიცება ღირდეს, ვისი აზრი და გრძობა ძვირფასი და გასაცხოველებელი იყოს იმისთვის, და ვისიც მხნე საზაფიერო სიყვარული იმას საქმეში და ბრძოლაში მხნეობას უმატებდეს... „საქმეში და ბრძოლაში“ მეტიქი? მაგრამ სადაა საქმე, სადაა ბრძოლა? რაც ცხოვრებას თავის ნებით რაჩხში და ჰხარაკში არ გამოუყვანია და რაზედ უფერული ბეჭედი არ დაუსვამს თავისი უმოძრაო და უდარდელი სიზანტისა, მას კაცის ხელი ვერ სწვდება, ისე გაუძნელებია ცხოვრებას მისი მიწვდობა... და ვინც მაინცა და მაინც მის ხელის შეხებას მოინდობებს, ვინც ცხოვრების ერთგვარულ და თავის მომზერებელ მიმდინარეობას არ აწყვება და თავის ნებითრათ, თავის ჰკუთით იწყებს ცხოვრებას და მოქმედებას, იმას ხშირათ წინააღმდეგ გარემოებებთან უტყდება ბრძოლა; კაცის ცხოვრებაში და მოქმედებაში ბრძოლა თითქმის ყოველთვის ამგვრებს და ამხნეებს კაცს, მაგრამ ეს სახელი მიეცემა იმ წერილმანს, შეუწინავე უხეირიებას, რომელიც თვალ მოუკერვლოთ წინ უდგება კაცს, მერმე ისე უძლიერათ, უხასიათოთ, რომ მათთან ბრძოლა, მათი მოგვრება სასაცილო და საძრახი საქმეა? —

დგას მარტო-ხელა კაცი, ბნელ საღამოს, როცა, ჩვენებური ანდაზის არ იყოს, „არც წვიმს, არც თოვს, არც დაზია“, დგას, და შორს, მთებს გადაღმა ქეკა-ქუხილს ყურს უგდებს. მის გარემოში მიძინებული, მიყრუებული არე-მარე იე გაგუდულა, თითქო იმას თავის დღეში სიცოცხლის თილისში არ მიკარებოდეს, და მარტო რაღაც ნაირი ყრუ კენესა გააქვს-გამოაქვს ტყე-ღრეში დაზანტებულ ქარს. სიბნელე, დუმილი თვალს უბანდავს კაცს. სადაა მეგობარი, რომლის საუბარს მისი გახსნეება და გაღვიძება შეუძლია? სადაა საყვარელი, რომლის ალერსმა მისი გული დამშვიდოს და გაახალგაზდოს? სადაა მისი აზრის მოწინააღმდეგე, რომელმაც ძილი დაუფთხოს და გრძობით გული აუნთოს? —

შუალამე. ამ საღამოს მე რამდენიმე ახალგაზდა ქალი ენახე, რომელნიც დღეს თუ ხელ — როგორც ჩვენში ამბობენ — საზოგადოებაში გამოსვლას აპირებენ. იმათ დღეს საშინჯველათ გძელი კაბები ჩაუცვამთ, და — ჩვენებური ბავშვების ჩეულებსამებრ — მხიარული „სტუმრობა“ გაემართათ.

საკვირველი საქმეა ახალგაზდობა, გაზაფხულის არ იყოს. იმას თვითონ თავის საკუთარი ძალა და ცეცხლი უდგია ტანში, და ამ ძალას, ამ ცეცხლს, ბევრი ჩინებული საქმის მოხდენა, ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლებოდა...

სხვა გარემოებებში ამსიდე ახალგაზდა საზოგადოება, რომელიც დღეს ჯგუფ-ჯგუფათ მხიარული კასკასით დასეირნობდა და მოძრაობდა, ამოუხოცველი კვალის დატოვება უნდა შესძლებოდა. მე იშვიათათ მიხანხავს, ერთათ, იმოდენა სიცხველე, ახალგაზდობის ალი და გამბედავი გამოხედულობა, როგორც დღევანდელ „სტუმრობაში“. მწეც კაცის პირისახის და მიხერა-მოხერას დაკვირვებას შეჩვევია, ვისაც ძველი ნაცნობების ცხოვრებისთვის თვალთ უდევნებია, ის — „სტუმრობას“ რომ დასწრობოდა დღეს — პირდაპირე იტყოდა: „ახალგაზდობა, მომავალი, ბედი ამისთანა უნდაო!“

მართალი რომ ეთქვა, მე გაგონილიც კი მქონდა, რომ ამ ქალებს ბედი ცოტაოდენათ გაჭლიმებოდა და რაღაცა იშვიათი შემთხვევით მათთვის ყურში ჩაეწვეთა, რომ ქალის დანიშნულება ქვეყანაში მარტო მადამ ტოლლეს მალაზიაში გამოყვობა და თეატრებში ახალ-ახალ ტანისამოსით გამოგვიგემა კი არ არისო. იმათ ისიც კი გაუგონიათ, რომ არც მარტო სიყვარულისთვის შეუქნია ღმერთს ქალი, არც მაინცა და მაინც საძიძოთ და სამზარეულოთ, — და დღეს იმინ თითქმის დარწმუნებულნი არიან, რომ ქალი ისეთ ამხანაგათ უნდა შეიქნეს კაცისთვის, რომ ყოველ მის მოვალეობაში და სიმართლეში გვერდით უნდა უდგეს, ერთგულათ დამხმარ და მოზარე ძმასავით.

ნეტა ამ დროს, ვიტყვოდა მე ეხლაც — როგორც ამ დილას ეწერიდ გაზაფხულზე — ერთი მომზერებელი და იმედის მომკვეთი აზრი რომ არ მიჯდეს თავში. — ძარგი, ვფიქრობდი მე, როცა ახალგაზდა, დარღმინდი, იმედ-სავსე ქალების სიმხიარულეს დაეყურებდი, ესენი დღეს პატრონი, კეთილი განზრახვით შედიან ცხოვრებაში, და მხიარულათ შესცქერაინ მომავალ ბედს. მთვინათ აზრში, ესენი მზათ არიან მთელი თავიანთი სიცოცხლე ეხლანდელ მათ რწმუნებას დაუმორჩილონ და დღევანდელი აზრები და გრძობა სიცოცხლეში გაიყვანონ და გააცხოველონ. მაგრამ ჩვენი ცხოვრება ისეთია, რომ ორი სამი წლის შემდეგ, ესევე ახალგაზდა, ცეცხლით და აღტაცებით სავსე ქალები შეჩვენებთან მე ცხოვრებაში, ცხოვრებისგან გათელილები, ცხოვრების დამონებულნი. მაშინ ქენი, თავი

ვიანთი უფროსი დებსავეთ, ჩენი დედებზე-
ზიგსავეთ, ან მოდის მალაზიების წარმომად-
გენლები იქნებიან, ანა და უსუსური, უმიზნო
არსებები, რომლის დანიშნულება დედა-მიწაზე
მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სკ მონ
სადილ-ვახშიში მარტო მისთვის, რომ იცხოვ-
რონ, და იცხოვრონ მარტო მისთვის, რომ
სადილ-ვახშიში სკამონ...

+

ნაშუადამეგს, მგორეს ნახევარი
რაკი ცხოვრებაში ბოძოლის გავლენაზე
ვლარაკობ, ერთ შემთხვევას ჩავსწერ აქვე,
რომელიც ამ საგანს შეეხება, და რომელიც
ესლა, მასს ენდება.

მე ვიცნობდი, კაი ხანია მასაქეთ, ერთ ახალ-
გაზდა ქალს, რომელიც მართლა შესანიშნავი
და განსაკუთრებით ქმნილება იყო. შეთვალ-
წარბა, ბროლივით თეთრი, წერილ-ტანა და
მალაღი, შე-თმინი, ის ისეთიანი ახალგაზ-
დური ცეცხლით და აღტაცებით სავსე იყო, რომ
მის მნახველს ერთი შეხედვა ეყოფოდა, სა-
მუდამოთ მისი პირისახის დასამახსოვრებლათ.
ერთი კაცი არ მახსოვს მე, მისი მნა-
ხველი, რომელსაც ათჯერ მაინც არ ეთქვას
ჩემთან ამ ქალის მომავალზე: „ნეტავი იმას,
ვისაც ცხოვრებაში ამისთანა დამხმარე და
სულის ჩამდგველი, სულის მომპრუნველი
შეხედებოა!“

ამ ქალს სახელათ ნატაშა ერქვა. მამა
მისი შემძლე იტალიელი იყო, რომელიც
ერთ რუსეთის ქალაქში სცხოვრებდა...

ახალგაზდა ნატაშას, ამის გამო, არც სწე-
ლა, არც ხეირიანი მოვლა დაჰკლებია; და
რუსეთში „ახალი დრო“ რომ დადგა, იმან
პირველთაგანში ამოყო თავი პეტერბურგის
უნივერსიტეტში, იქაური ლექციების მსმენე-
ლებს შუა.

+

რალა თქმა უნდა, რომ ახალ აზრებს,
რომელნიც იმ დროს რუსულ საზოგადოე-
ბაში მოღადათ მიჩნდათ, ნატაშაზე უმზურვა-
ლესი დამცველი და ყურის მგდებელი არ
ჰყავდათ. ის გულმოდგინეთ დაიარებოდა ლექ-
ციებზე, — ეს არაფერია; უფრო შესანიშნავი
ის არის, რომ ნატაშა მართლა გულმოდგინეთ
უფლებდა ყურს ამ ლექციებს და ნამდვილი
ხალისით სწავლობდა სხვა და სხვა საგნებს,
რომელიც ქალს, უწინდელ დროში, უსარ-
გებლო და უხეირო რამეთ მიჩნდა. აღტა-
ცებით მოსწავლე ქალი უმეტესი აღტაცებით
რწმუნდებოდა ახალი აზრების სიმართლეს
და საფუძვლიანობაში, და კიდევ უფრო უმე-
ტესი აღტაცებით დაჰქადაგებდა ამ აზრებს
თავის ნაცნობებში და ნათესაებებში.

+

რასაკვირველია, რომ ამ ნაირი აზრის
ქალი თავის საკუთარი ქვეით და რჩევით
გამოძებნიდა თავის საქმრას. იმან ამოიჩინა
ერთი ახალგაზდა სტუდენტი, რომელსაც იმ
დროს მისმა შეძლებამ და ხმამ ცოტაოდენი
მნიშვნელობა მისცა მის ამხანაგებში. ახალ-
გაზდა რწვეილი დამეგობრბდა და დაახ-
ლოვდა — ნატაშას და ახალგაზდა ვაჟის დედ-
მამის საწყენად, მაგრამ მაინც დაახლოვ-
და...

+

მრი წლის შემდეგ, მე ესევე „რწვეილი“
ენახე სულ სხვა ნაირ მდგომარეობაში, და
დაკვირვებით, მუხაივით და გამოკითხვით მათი
ასავალ- დასავალი დაწვრილებით გავიგე. და-
ახლოვების შემდეგ რამდენიმე თვესაც არ
გამოველო, ჩემ ნატაშას ადვილათ დაენახა
თავისი საქმრას (ან ქმრის) უხეირობა და
სისუსტე. მს ახალგაზდა, თურმე, ტრახაზა და
უაფუძელო ყაწვილათ გამოდგა, რომელმაც
ცხოვრების განსაცდელს ვერ გაუძლო და
ნელნელა, ჩუმჩუმა მუხლის მოდრეკა დაიწყო,
თუმც სიტყვებით კი უწინდელ აზრებს და

რწმუნებებს წამ და უწუმ იმეორებდა. ნატა-
შამ ვერ გაუძლო ამ ორპირობას, ვერ გაუძ-
ლო მისთვის, რომ იმას თავის ქმარში აღმ-
ტაცი, გამბედავი და ამაყი ახალგაზდა შეე-
ყვარა, და ნამდვილათ კი ხელში უძღოლი
ერუენტელა შეჩინოდა. — მისდა საუბე-
დურათ შეხედა ამ ახალგაზდა რწვეილს ერთი
ყმაწვილი, რომელიც საქმით ვერაფრით ვერ
სჯობდა უძღოლ ქმარს, და სიტყვებით კი
იმას სრულიად ჩამოგაედა. არ ვიცი რანაირათ
და რა მიზეზით, ნატაშამ ეს ყმაწვილი შეეყ-
ვარა, ამიტომ რომ მის გულს, რომელსაც
ქმარი შესძულებოდა, სიყვარული სწყუროდა,
ვისიცუნდა ყოფილიყო... მაგრამ ეს ახალი
სიყვარული, ახალი ყმაწვილის უხეირობის-
გამო, ძლიერ მალე მოიშალა, და ჩემ ნატაშას
ხელში ისევ თავის ქმარი დარჩა.

+

ამ ქმარს ნატაშა უყვარდა, ამიტომ პირ-
ველათ, რომ ის მართლა ლაზათიანი და
ჩინებული ქალი იყო, და მეორეთ, რომ ის
თითქმის ყველას გადაჭარბებულათ მოსწონდა.
იქას, რასაკვირველია, სურდა, ამისთანა ლაზა-
თიანი ცოლი დარჩენოდა, და ისეთი ხერხი
მოიგონა, რომელმაც ნატაშა, თითქო ხელ-
ფეხ შეკრული კრავი, იმას ხელში გადასცა.

აი რაში მდგომარეობდა ეს ხერხი:

თავდაპირველათ იმან ერთბაშათ შესცვა-
ლა თავის ცხოვრება. უწინდელი ხელ-მოჭე-
რილ და უბრალო ხასიათის მაგიერათ, მიიღო
დიდკაცური, ოჯახისთვის ხელ უხეი და
განაზებული ცხოვრება, მიაჩნია თავის თავი
და ნატაშაც ისეთ ნაირ დროს გატარებდას,
რომ, ჭკუის გამრთველი საქმის და მუშაობის
მაგიერ, მათ ყოველთვის თვალის გამართობი
საცქერისები ჰქონდათ, შემოიღო აბრეშუმი,
ხავერდი და ნაზი გამართულობა, და მთელი
სახლი ისეთ რიგათ გააწყო, რომ შიგ მუდამ
ლონის მომღები სითფო, სინაზე და ზანტობა
სუფევედნ. შეხისით რბილათ, ნაზათ იდგებოდა
მის ოთახში ხავერდის ხალიჩაზე, ტანი ისე
სუბუქად ჩაიფლებოდა მის კრესლოებში და
მისი ნაზი და განაზებელი სასმელ-საქმელი
ისეთი სითფოთი დნებოდა ძარღვებში, რომ
კაცს, მის სადგომში, ზმორების, ნაზობის და
ოცნებობის მეტი აღარ აგონდებოდა რა.

+

ნატაშა ჯერ ძლიერ გულგრილათ უყუ-
რებდა ამ ცვლილებებს, და უდარდელათ,
უნებურათ იცვამდა ახალ-ახალ ძვირფას ტანი-
სამოსს, უნებურათვე დადიოდა თავის ქმრის
ახალ ნაცნობებისას, სადაც იმას ხედებოდა
იმნაირივე მდიდრული გაწყობილება და დიდ-
კაცობა, როგორც შინ, თავის საკუთარ სახ-
ლში. მაგრამ ნელ-ნელა ამ მდიდრულმა
ცხოვრებამ ჩენი ნატაშაც ჩაითრია. იმან
უფრო და უფრო იშვიათათ დაიწყო წერა და
თარგმნა — რამდენიმე მისი მოთხრობა და ნა-
თარგმნები რუსულ ჟურნალებში იყო დაბეჭ-
დილი — უფრო და უფრო ხშირათ დაიწყო
ჯერ სეირნობა, მერე ნაზი სიზარმაცით დიე-
ნებზე წამოწოლა, და ამ ნაირათ, ჩათრევით,
შეტოპვით, უდარდელობით კისრამდი ჩაიფ-
ლო უმოქმედო და უაზრო ცხოვრებაში.

+

მაშინ დადგა ნატაშასთვის ახალი დრო: ის
თავის თავს არ უტყდებოდა, მაგრამ ცოტათი
არ იყო, მაინც გრძობდა, რომ თუ ამ
ნაირ მდიდრულ გაწყობილებაში არა, ის სხვა
ნაირათ ვეღარ გასძლებს, იმასეღარ დააკმა-
ყოფილებს უწინდელი უბრალო, სუფთა და
ლაზათიანი ოთახი, უწინდელი ნოყიერი, მაგ-
რამ იაფი სადილ-ვახშიში, უბრალო მაგრამ
მომხრომი ტანსაცმელი. ის გრძობდა, რომ
მის განაზებულ ფეხის გულებს ხავერდის ხა-
ლიჩა სჭირია, რომ უბრალო ფიცრის იატაკი,
სიარულის დროს, ფეხსაც ატყენს და რახა-
რებსაც იწყებს. მისი სხეული რბილ, პრუქი-
ნიან კრესლოებს და ლოგინს თხოვლობდა,

აგრეთვე როგორც ნაცნობებისგან აღერს და
პატივისცემას... ნატაშა თან და თან უფრო და
უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი ქმრის მეტი
ვერაინ უზოვის იმას ხავერდის ხალიჩებს,
რბილ საჯდომ-საწოლს, კეკლუც ოთახს და
ნაზ, ზრდილობიან მეგობრებს. — ამ გრძობ-
ბით ნატაშა თავის ქმარს ბევრ დანაშაუ-
ლობას უტოვებდა და თან და თან უფრო და
უფრო ემორჩილებოდა — თავის უნებურათ —
მის სურვილს და ნებას...

+

მოლოს... საჭიროა განა ჩაეწერო რა მდგო-
მარობაში ჩავარდა ჩემი ამაყი, თავის გონე-
ბის და აზრის მორჩილი, თავის რწმუნებების
და აღთქმების აღმსრულებელი ნატაშა? ერთ
სალამოს მე რალაც უბრალო საქმეზე ვემუ-
საიფებოდი მის ქმარს, ჩაის სმის დროს, ისეთ
საქმეზე, რომ მის ცოლს კი არა, მის
მზარეულსაც რომ ყურა დავეგო ჩენი მუსა-
იფისთვის, საქმე იმითი ერთ ბისტად არ
წახდებოდა. მაგრამ ჩემ მემუსაიფეს ერთი
უბედური თვისება ჰქონდა: ის ლუქის შეჭ-
მანვდაც ვერ იტყოდა ორ სიტყვას ისე, რომ
რალაცნაირი მესაიდუმლე შეხედულება არ
მიელო, თითქო ყველა უნდოდა დაეჯერებინა,
რომ დიდი უშეველებელი საიდუმლო საქმეები
მაქმსო და დიდი საქმეების პატრონი კაცი
ვარო. ამ თვისებამ, რაკი მე იმას რალაც უბ-
რალო საქმეზე ლაპარაკი დაუწყე, მაშინვე
ჯლინქეი ჰქრა მის ბეჭურ თავის-მოყვარებას;
ჩემი მემუსაიფე მაშინვე მოიღუშა, დაფიქრა
და ნატაშას ამ სიტყვებით მიუბრუნდა: —
ნატალი, ჩვენ აქ საჭირო საქმეზე უნდა მოვი-
ლაპარაკოთ. შენ შეგიძლია შენ ოთახში
წახვიდე.

+

მაგრამ ნატაშა — იმას ესლა ნატალი დარ-
ქმოდა სახელათ! — ფეხს არ იცვლიდა. იმან
ისეთი შემაბრალბელი და შემხეწი თვალე-
ბით შეხედა თავის ქმარს, რომ მე, უგრძობ-
ბელ კაცს, გული ამეწვა. — ნიკოლა, უთხრა
ნატაშამ თავის ქმარს, მეც მსურს აქ ყოფნა,
მაგ საქმის ყურის დაგდება ჩემთვისაც სასაი-
მოვნოა, მე...

მაშინ გაწიწმარიტებულმა ქმარმა წარბები
უფრო მეტათ შეიღუშა, და ხმის ამაღლებით,
ბრძანებელი სახით დაუძახა: — ბეუზნები, გადი
მეთქი, არ გვმის!

და ჩემი ნატალი, თავდალუნული, თვალ-
ცემლიანი, გაწითლებული ადგა, და გავიდა
ჩენი ოთახიდან.

+

მართალი ეთქვა, მე თვითონ არ მეგონა,
თუ უბრალო ცხოვრებას, უფასო და უსუსლო
გარემოებას ამ ნაირათ კაცის სულის დამ-
ხობა და ხასიათის დამდაბლება შეეძლო...

მხლა, ეკითხულობ, რამდენი ქალი, ამ სა-
დამოს ნანახთაგანი, გაუძლებს ნატაშის გან-
საცდელს, და ნატაშიდგან ნატალით არ გარ-
დაიქცევა? — ...

+

მ. რ. შაუთი, დილა

ამბობენ, კაცის ცხოვრების უმთავრესი სა-
ფუძველი იმედია. მს მართალია. მაგრამ მე
ის მინდა გავიგო, თუ სად ჰპოვლობს კაცი
იმოდენა იმედს, სად მოდის ეს იმედი ასებზე-
საით, რომ ამ ენი ხანია ის ჯერ კაცს არ
შემოკლებია, თუმც ცხოვრება ერთი მეორეს
შემდეგ თითო თითო უკაფავს ძირს ყოველ
ახლაუ ამოსულ იმედს.

ღოსტოვესკი, თავის წიგნში *Затиски ума*
мертвого дома ამბობს, რომ ციხის კედლებზე
ჯაჭვით მიჭედოლი დამნაშავესაც, რომელთაც
სამუდამოთ სასტიკ კატორგაზე, ჯაჭვით და-
ბმა აქეთ გადაწყვეტილი, გათავისუფლების
იმედი არ ეკარგებათ, თუმც ყველასთვის ცხა-
დი საქმეა, რომ მათი გათავისუფლება შეუძ-
ლებელია. სად გამოძებნა, რომელ ტენის

კუნჭულში მოთხარა ამნაირმა დამნაშავემ
გათავისუფლების იმედი, და რუქილე კუნჭულ-
ში ინახავს ის ამ იმედს [გაჭაჭაქ] რუქილეზე
დაუშტრეველათ? რა საფუძველზეა დამკიდ-
რებული ეს ახირებული გრძობა კაცის გო-
ნებში, სად და რაში პოულობს ის საზრდოს? —
მს ბრიზინგერის საქმეა, რადგ-ც მისი ხე-
ლობა ტენის და სულის მახინჯობის და
ავთამყოფობის გამოძიება. მე კი აქ კალაში
უნდა დაედგა, აბა რა მეტქმის მე ამ საგანზე?

+

მაგიერათ, ამ საქმის მეორე მხარეზე კი ბე-
ერი რამ ითქმის. მაგალითად, რა დაუფასებე-
ლი ძლა ექნება იმ კაცს, რომელიც უიმე-
დობას შეჩვევია, და მაინცა და მაინც მოქმე-
დებს, სცხოვრობს, ცხოვრებას თავს აკლავს
და სიცოცხლეს იმორჩილებს, მხოლოდ თა-
ვისი გონების და სინიდისის დასაკმაყოფილე-
ბლათ? მაგრამ სადაა ამისთანა გმირი?

Где ты? Откликнись!.. Нетъ отвѣта,
И даже чуждъ душъ поэта
Его могучій идеалъ!..

+

ბრიზინგერს რომ ამ საგანზე რამე ჰკითხო-
ვს გამოჩენილი პროფესორი, თავისი გერმან-
იული სულის შეურყველობით, ცივათ მო-
გებება — „Ich weiss es nicht“ (არ ვიციო) და
ამ პასუხით შინ გამოგვშვებს.

+

შუა დღე.

დღეს განსაკუთრებით მშვენიერი ტაროსია:
ნათელი, თფილი დღე, გამდიდებული სიო,
გამამხიარულებელი ჰავა საკვირველათ მოქმე-
დებს ჩემს ავთამყოფ ტენის ძაფებზე. ძარგა
მყოფ კაცზე ამ მშვენიერ დღეს კითილი გა-
ვლენა უნდა ჰქონდეს, — იმას დღეს ვარდის
ფერი სათვალეები უნდა ედგას თვალებზე და
მის გულში მხიარულების, სიყვარულის და
იმედის მეტს არაფერს ალაფი არ უნდა ჰქონ-
დეს. მე კი, ამ ჩემ უხეირო ოთახში — რომე-
ლიც ამ ქეიფზე მე საპრობილეთ მიმანია —
ეს აღმტაცებული ტაროსი მარაზებს და გულ-
ზე მხეთქს, რა განარბობა ამ მზეს, ასე კასკაჰ
სით რომ გამობრძანებულა დღეს ლაქვარდ
ცაზე, რა ახალი, სასაიმონო და უცნობი სა-
ნანახავი მოჩენებია იმას, ასე უდარდელათ
რომ იწვევს კაცის გულს სამხიარულებლათ
რა მოხდა ამ ბებერ დედამიწაზე ისეთი, რომ
ღირდეს ტაშის კვრით და ხტომა-ცეკვით და-
ტკობა?...
როგორც ამ ერთი კვირის წინ კაცს ბუ-
ნება მომგზვრებელ შრომას და დაუბოლოე-
ბელ მუშაობას აძულებდა, შიმშილის თავი-
დგან მოსაგერებლათ, ისე დღესაც და დღეის
სწორსაც იქნება. მს უბედური კაცის ტენი,
რომელმაც, შიმშილის და სიცივის ტვირთ
ქვეშ, საკვირველი და საკვირველ მოქმედი სა-
გნები და საშუალებები გამოიგონა, — მაგა-
ლითად ცეცხლის გემი, რკინის გზა, ტელე-
გრაფი და სხვ. და სხვ., და რომელმაც ასე
დარდმანდულათ დაიმონავა ბუნების ზოგი-
ერთი ძალები, ქარი, ორთქლი, მენი, წყალი
და სხვ., ეს კაცის ტენი მეთქი, ამ ასი ათა-
სი წლის განმავლობაში ჯერ კიდევ ვერ მო-
რეგია თავის მსგავს კაცის ტენის, თავის თავ-
ზე უფრო სუსტს და უბადრუტს... იმას აქნამ-
დაც ვერ დაუმონებია და შეუშურავს კაცის
სისულელე და უმეტრება, და უმეტარი ტეი-
ნის წინააღმდეგობა. — რა ძნელი საქმე იყო, ვი-
თომ, იმ ტენისთვის, რომელიც თავისი აზრის
გადაცემას სამი წლის სავალზე ერთ წუთში
ახერხებს, ისეთ ნაირათ გამოეყენებია თავის
ჭკუის ნაშრომი და ისე გაუადვილებია ეს შემა-
წუხებელი და მომაკვდენელი კაცის შრომა, რომ
კაცს ხალისით, სიამოვნებით ეშრომა დედამი-
წაზე, თავისი საზრდო მოეყენა, და არც სხვის
შემაწუხებელი ყოფილიყო, არც სხვისგან შე-
წუხებული? რა ძნელი საქმე იყო, ვითომ, იმ
ტენისთვის, რომელმაც ჰორთქლის წისქვი-
ლი მოიზრა და ამ მოაზრებით ესლა ორი კა-
ცის შრომას იმოდენა ფქვილის დაფქვა შეუ-

ძლია, რამდენსაც ძველის ძველათ ათი ათასი კაცი უნდებოდა, როცა ხელით საბრუნებელ წიქვლებს ხმარობდნენ, რა ძნელი საქმე იყო მათი, ამ ტენისთვის ისეთი რამეც მოგვინებია, რომ შრომა კაცის გულს და სხეულს არ აწუხებდა, როგორც, მაგალითად, საკვარი მშენის შემოღება. მშრომელ ქალს აღარ აწუხებს.

სანამ იმ ნაირი დრო არ დადგება დედა მიწაზე, როცა კაცს შრომის წინ მუხლი და ძალა არ მოგვეთება, რა უნახავს ამ ახირებულ მხეს და ბუნებას გამამხიარულებელი და სასიამოვნო, ასე უღარდელათ და ქვიფიანათ რომ დაკასკანებენ ამ ჩვენ დედამიწას? სხადი არაა, რომ მზე დღეს სწორეთ ისე უმიზნოთ დახარის და დაჰთამაშებს ქვეყანას, როგორც უმიზნოთ დატარის და იღუშება ის ღრუბლიან, წვიმიან დღეებში? ან მაშინ რა აქვს სატირელი, ან დღეს რა აქვს სამხიარულებელი?...
+
სადაც უფიდი საათი.

„ძმანო, ვიფიქრო მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება, მოგვინებოთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტყდება, რომლის შუქი აღგვამალღებს, რომლით სული გვინათლღებს, რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ვმსგავსებ!“ *)

მეც მივსდევ ჩვენი პოეტის რჩევას, მეც დაივიწყე „მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება“ და მოვიგონე სიყვარული, რომლის შუქი აღგვამალღებს, რომლით სული გვინათლღებს. მითომც, მიზანტროპი რომ ვარ, გრძნობას სრულიად არ უნდა ჰქონდეს ჩამზე გავლენა? მითომც, მიზანტროპს მართლა სძულს მთელი ქვეყანა, მართლა მობოზრება კაცის სახის დანახვა, მართლა შეზარებია კაცის საზოგადოება?

არა, ჩემო საყვარელო „სამასხარო წიგნო“, ჩემო ერთგულო მეგობარო, „მთხელ მეც, ძმანო, მეც ვყვარებია, ბული წმინდ ალით მეც აღმავებია!“
და არც მარტო ერთხელ...
მაგრამ... დასაზეროს ღმერთმა ეს „მაგრამ“ და ის ბედი, რომელიც ყოველ სასიამოვნო და კეთილ აზრზე მუდამ „მაგრამს“ მამატეზინებს... მაგრამ, რადგანც ამ ბედს მე ვერ გავიქცევი, ჩაეწერ აქვე რა მიზნით მომიხდა მე აქ ამ უბედური სიტყვის ხმარება.

მთქვით, მოინდომა კაცმა, ამოდენა წერილ-მანი უხეირობაებით თაყ-მობუზრებულმა, შრომით და ვიავებახით დაჩაგრულმა, იმედ-დალეულმა, „სიყვარულის“ დაწაფეთ „სიცოცხლის დატკობა.“ მთქვით, გამოუდგა ის იმ საგნის ძებნას, „რომლის შუქი აღგვამალღებს, რომლით სული გვინათლღებს.“ — ადვილი საქმეა ეს განა?

კაცის ცხოვრებაში თითქმის არც ერთ გრძნობას და მოთხოვნილებას არა აქვს იმსიდეძალი და გავლენა, როგორც იმ უცნაურ გრძნობას, რომელსაც ჩვენ „სიყვარულს“ უძახით. ამ გრძნობაზე დაფუძნებულია კაცის „საზოგადო“ ცხოვრება, როგორც საზოგადოს მოთხოვნილებაზე ბრუნავს მისი „პიროვნანი“ სიცოცხლე. რასაკვირველია, „სიყვარული“ აქ მარტო ქალის აღერისიანობას არ ნიშნავს: ეს სიტყვა აქ უფრო ვრცელ აზრითაა ნახმარი, და იმ ძმურ, მეგობრულ გრძნობას იგულისხმობს, რომელიც კაცს მის მსგავსთან მიიზიდავს და აახლოვებს.

*) „სადაღვრძელო“ თ. ბრ. მარტოვანი-სა, „ტრუბული“, პირველი წიგნი.

მს გრძნობა იმ ვრცელი ძალის ნაკვეთია, რომელსაც ბრუნავს მთელი ქვეყნიერება, იმ „მიმზილაობის“ წერილმანი გამოჩენა, რომელიც დედამიწას და ყველა მნათობებს ერთმანერთის დამოკიდებულებით იჭერს, ატარებს და აცხოველებს. ამ ორივე მიმზილაობას, ქვეყნიერებისა და კაცის გულისას, ერთი და იგივე კანონი, ერთი და იგივე ძალა მმართავს, ასე რომ კაცის გული და ტენი იმგვარივე დამოკიდებულებაშია სხვა პირების გულთან და ტენთან, როგორშია იგივე დედა-მიწა მზესთან და სხვა მნათობებთან არის.

როგორც ქვეყნიერების ცხოვრებაში, დედამიწის მისაზრდელოთ, გასაცხოველებლოთ და სითფოს და მოძრაობის მისაცემლოთ აუცილებლოთ საჭიროა მასზე უდიდესი და უთფილესი მნათობი, მაგალითად მზე, სწორეთ აგრეთვე აუცილებლოთ საჭიროა კაცის სიცოცხლეში სითფოს და მოძრაობის მიმნიჭებელი, მიმზიდელი არსების ყოლა. ამ გვარი არსებისკენ მიმზიდელობა, მისი თანაგრძობა, მისი სითფოთი აღვსება შეადგენს იმ გრძნობას, „რომლის შუქი აღგვამალღებს, რომლით სული გვინათლღებს“...

მამოუდგეთ, ეხლა, ამ ნაირი მიმზიდელი „არსების“ ძებნას, მოვიწოდებოთ, აბა, მისი სითფოთი ჩვენი ძალის გამარელება, მისი შუქით ჩვენი სიცოცხლის განათება.

რაკი ჩვენ ამ ნაირი არსების ძებნას შეუდგებით, მშვიდობით და გამარჯვებით მაშინ, აღმტაცი გრძნობის სიზმრებო!

სადა ისეთი არსება, კაცი იყოს, თუნდ ქალი, რომელსაც გულში თავის საკუთარი სითფოთი, თავისი გრძნობა და მიზანი ჰქონდეს? სადა ისეთი არსება, რომლის საკუთარ ძალას ჩვენი მიზნად შეეძლოს, ჩვენი თან წაზიდვა თავის შეუტყველ და მაღალ მიზნისკენ? ან, თუ ამისთანა მაღალი და მნათობი არსება არსად არის, ისეთი არსებები მაინც სადაა არიან, რომელთაც იმოდენა სიმძიმე და არსებობა მაინც ჰქონდესთ, რომ რასმე მათი მიზიდვა და თან წაჭანა შეეძლოს? როგორც მიწისთვის ძნელია მზაზე ბუნტყლის, ღინღლის მიზიდვა, და ეს თითქმის სრულიად უსიმძიმო ღინღლი თავის ადგილს ვერ ჰპოულობს და, გაეკრვლ-გამომკვრელი ქარის ძალით, გამეღვლე-გამომეღვლელის ტანსაცმელს ედება, ჯერ ერთისას, მერე მეორისას, სწორეთ იმ ნაირივე მდგომარეობაშია ჩვენი გულელები....

როცა მე ძარღვებში ახალგაზდა, მდულარე სისხლი მეღვა, მეც გაუტყებვიარ გრძნობის ოცნებას, მეც გამოვიცდებიარ „მიმზიდველ არსებას“ (მას აქვითა, ბევრ ტურას უყივლია ჩვენ ტყეებში!). და ყოველთვის, როცა ჩემი გული თანაგრძნობით ძვრდა და თანაგრძნობას ეძებდა, როცა სიყვარულში აღტაცებით ვტოპავდი და საყვარელ საგნიდან სულის ჩადგმას ვცდილობდი, ხელში ყოველთვის ერთნაირი, სუსტი, უსუსური, უმიზნო, ფუქე და უბადრუკი არსება მრჩებოდა, ღინღლსავით მზაზე, რომელსაც ჩემი გულის მიზიდვა კი არა, თავისი გულის მოცემაც არ შეეძლო... ან სად იყო, როდისმე, ის უცნაური საგანი, რომელსაც ჩვენ გულს ვეძახით? იყო ქალი (ან კაცი), ხორციელი, ხშირათ ღამაზი, ხანდისხან ლაზათიანი. მის ცხვირიც თავის ადგილას ჰქონდა, თვალელებიც, ფეხებიც და სხე; ლაპარაკიც შეეძლო, გაცინებაც და გაჩუმებაც. მაგრამ, ყოველთვის ერთნაირათ აკლდა იმას გული, სული, გრძნობა. და ეს „სხეულო“ მარტო სხეულს ათბობდა და ამშვიდებდა ჩემში: სულსა და გულს, ტენს, მასთან სწორედ იმ ნაირათვე სცოდა, სწორეთ იმ

ნაირივე სიფუქე აწუხებდა, როგორც უმიზნოთ, მარტობაში.

ან რა ნაირათ უნდა გაუთფეს კაცს გული, რა ნაირათ უნდა დაუტკენს ტენი, როცა, აღმტაცი არსების მაგიერათ, იმას ხელში ქპრის მეძიებელი ქალი რჩება, რომელსაც მაღალ მიზნათ ახალ მოდური კაბა აქვს, გამაცხოველებელ „ლოტოლილებათ“ — ქალაქის ქორები და საშუალებათ — სიცრუე და ცრემლი?... რა ნაირათ უნდა იმატებდეს ძალას და ისევენდეს კაცი, როცა, მომხრეს მაგიერათ, იმას გვერდში უსუსური არსება უდგია, წერილმანათ თამოყვარე, თაგამოუტყებელი, სიცოცხლის და სიტკობის მოყვარე!...

შეღურია, ათასჯერ უბედურია ის კაცი, რომელიც „აღმტაც არსებას“ დამშეულოთ ეძებს, ისეთს, რომ მისი გრძნობა ვაიტაცოს და თაგბრუდახვევით მის მიზანს მიაჯახოს, რომ მასთან თავისი ბედი და მომავალი შეაერთოს და დაუნანებლოთ, უსაყვედუროთ, ძმურათ მისი ცხოვრების ჯაპანი გასწიოს!... ამ ნაირ არსებას, — რას ვამბობ, ამის მსგავსსაც — ვერ გამოძენის ის ქვეყანაში. — და თუ მაინცა და მაინც იმას თავის სიცოცხლის დატკობა უნდა, ამოირჩიოს რომელიც უნდა არსება, იშოვოს ორასი თუმანი წლის შემოსავლოთ, იქირავოს ჩინებული სადგომი, იყიდოს მშვენიერი, რბილი ძებილი, მოაზნალოს მდიდრული ტანსაცმელი, გაიწვოს დიდკაბობა, კანონიერათ დაუგვირგინდეს თავის „არჩეულ არსებას“, და მაშინ...

მაშინ, რასაკვირველია, ის ნეტარებას ეღირსება!

შეკვლია, ეღირსება, თუ ნეტარების სახელს დავარქმევთ ჩვენ უღარდელი ქალის მხიარულ კასკას, აბრეშუმის კაბის შრიალს გამაჭკერი პერანგის ფართქალს, თუ ამ სახელს იმ ციე, უნდომ კოცნას ვაღირსებთ, რომლითაც დალაღული, საზოგადო კეკლუცობაში გულ გაცივებული ცოლი თავის ქმარს ჩეულებრივ აჯილდოვებს, მისი შრომის და ხარჯისათვის.

მაგრამ, ზოგიერთები ფიქრობენ — და მეც, ცოდელი, ამ აზრისა ვარ, — რომ ეს ციე კოცნა იმ შრომათ და ხარჯათ არ ღირს, ამიტომ რომ...

სამშაუთი, დილა.
უხელოს მე ერთს შემთხვევას დავესწარ, რომელმაც, ცოტათი არ იყოს, დამაუტიკრა. — მითითონ შემთხვევა შესანიშნავი და საამბობი არ არის, ამიგამო აქ მე მარტო ჩემ ფიქრებს ჩავსწერ, რადგანც იმათ საგანს გვარიანი მნიშვნელობა აქვს სულის ცხოვრების და სულის ავთამყოფობის გამოკვლევაში, ესე იგი ფსიხოლოგიაში და ფსინიატრიაში.

მე შეენიშნე, რომ, რაგინდ უმანკო და პატიოსან ქალზე ჰფიქრობდეს დაბერებული და უძლოური ქალი, მისი პირველი აზრი ყოველთვის ახალგაზდა ქალში უპატიოსნების, ცულ-ქალობის შეწამებაა. მისი აზრით, ეს ახალგაზდა ქალი აშკარა და სრული დიაცი და ცრუა, ანა და, ჯერ ჯერობით თავს იკავებს, რადგანც გათხოვება უნდა და „ავიენის“ ეშინია.

რა ნაირათ ებადება ეს აზრი დაბერებულ ტურფას და რა გზით ჰპოულობს ის გამოთქმის საშუალებას? დიდი მთიანი მიწდორი რომ დახვდება კაცს, იმას რამე ზომა თუ არ უჭირავს ხელში, — მაგალითად საყენი, ან მხარი, ნაბიჯი, — ნახი ადგილის გაცნობა არ შეუძლია. მისთვის აუცილებლოთ საჭიროა, რომ რამე ნაცნობი, გაჩეული ზომა ჰქონდეს. სულის ცხოვრებაში, კაცს ანაირ ზომათ

თავის საკუთარი თავი, თავისი საკუთარი სულის ცხოვრება აქვს. — რაც უფრო უფრო არ გამოუტყდა, არ უფროდნენ, მხეც ქსიქტარას, ოდეს ვერ გაიგებს სხვაში; განსაკუთრებით, თუ ის ისეთ მოქმედებას ან აზრს სჯის, რომელიც მის საკუთარ ხასიათზე უფრო მაღლა სდგას ზნეობრივ ცხოვრებაში. — ამის გამო, სხვისი ხასიათის და მოქმედების გასაშინჯავათ კაცს ნიადგ ერთი ზომა აქვს, თავის საკუთარი მოქმედება და ხასიათი.

აქხსნი ამ კანონს მაგალითებით. ზოგიერთ ვაჭრებს რომ დაელაპარაკო დღეს, მფილისში, საფრანგეთის დაცემზე, მაშინვე ამ ნაირ სჯას გაიგონებთ: ნაპოლეონმა საფრანგეთს უღალატა, შულ-ჭაერმა ბისმარკისაგან ფული აიღო, ტრაუმუმ გაყიდა საფრანგეთიო. — ამ ნაირი ვაჭრისთვის ცხოვრებაში ფულის მეტი არა არსებობს რა, იმას მეტი სათაყენისცემელი საგანი არა აქვს რა, და, რასაკვირველია, ის დარწმუნებულია, რომ ფულით და ფულის გულისთვის კაცი ყველაფერს იზამს, მამულსაც დაამზობს, პატიოსნებასაც გაყიდის და სახელსაც. მის ცხოვრებაში არასოდეს არ მომხდარა ისეთი შემთხვევა, რომ იმას ამ საგნებზე თავისი საკუთარი გრძნობის გამოცდა შემთხვევოდეს. შესაძლებელია, მაშინ ის თვითონაც იგრძნობდა, რომ თუმც ფული კარგი და ძვირფასი რამ არის, მაგრამ ხამული, პატიოსნება და სახელი უფრო უკეთესი და უძვირფასესი საუფგია. ეს შემთხვევა უცნობია ამ ნაირ ვაჭრისთვის, მისთვის ნაცნობია მარტო ფულის გავლენა და ფასი. ამას გარდა, ის ხედავს საფრანგეთის დამხობას, მაგრამ ვერ იკვლევს მის მიზნებს. მისთვის გაუგებარი საქმეა, თუ ნიჭი და უნიჭობა, გამბედაობა, ხალხის უზრუნველობა, წინდახედულობა რაა და რა გავლენა აქვთ ამ ძალებს ხალხის ცხოვრებაში და ბედში. და ამის გამო, უნიჭო და მოუხერხებელი, უხეირო მიზნების მდეველი პირების მოქმედების მიზნათ იმას ფულით მოქრთამეა მიაჩნია.

ამის გამო, ზოგიერთი პირების აზრით, აი რაში მდგომარეობს და როგორ მოხდა შარშანდელი ომი:

„ზამოვიდა, ბატონო, ნაპოლეონი, და უთხრა ბისმარკს: ან შენ, და ან მეო, გამო, თუ ბიჭი ხარო. ბისმარკი ავით იყო, თქვა, ამას თუ რამე ოინი არ უქენი, წახდა ჩემი საქმეო. შენვდათ ხიდი, დიდი უშეველებელი, მილიონ მეტად ღირდა თურმე. მოუვიდათ მაშინვე ამ ხილზე ლაპარაკი, ორივემ დაიჩემა ჩემიო, (ორივესი კი იყო), არ გაგიშვებო. რა ქნენ? მინამ ამ ხილზე დაობდნენ, უოსატატა ბისმარკმა, ხილს ლალუმი მისცა და დაანგრია. ღარჩა ჩემი ნაპოლეონი წყალს გაღმა, პირდაღებული.“

ანა და: „შეუთვალა პრუსიამ ნაპოლეონს, თვალს ავტირებ, თუ მოვედიო. მივიდა, მტერი ააღინა და უთხრა: შე ოხერო, რა გჯიდა ჩემ წინააღმდეგობასაო, თავიდან მომეშორე, კარგა ძალ ფულს მოგცემიო. მაქვს სიცოცხლე, ნაპოლეონმა მაშინ ჯიბე აიგსო! მამოართვა, ბატონო, ბისმარკს ხუთი მილიონი, ჩაიღვა უბეში და გასწია. ბისმარკი კი მოგიტყბიათო, თქვა, თქვენი აყილმავალის თავი არა მაქვსო. ღარჩენ, ჩემო ბატონო, ფრანკუზები უპატრონოთ, და, რასაკვირველია, სულ ერთიანთ წახდნენ...“

მერაფრის საშუალებით ვერ აუხსნის კაცი ამისთანა მოაზრეს, რომ ნაპოლეონი ხუთი, ათი და ათასი მილიონისთვის, საფრანგეთის ტახტზე და მკროპის მოთავიზებაზე ხელს არ აიღებდა, რომ ის არც ისე წერილმანი ანგარების მოყვარე, არც ისე სულელია, რომ ერთ ორ გროშათ თავის დიდება და სახელი გაყიდოს...
±

სწორეთ ამ გეგმაზე და ფიქრობს მო-
ხუცებული ტურფი. იქას სიცოცხლეში ტურ-
ფაობის მეტი მიზანი და ოცნება არ ჰქონია,
მისი ამდღევანელი, გამაცხოველებელი მარ-
ტო ეს ტურფაობა იყო, და, თუმც მოქმედ-
ებით ის ამ ტურფაობას ვერ ამყოფილებდა ან
ვერ აცხადებდა, აზრით ხომ მაინც მუდამ მის
აღერსში იყო. რაღა გასაკვირებელი უნდა იყოს,
რომ, სხვა ქალზე სჯის დროს, ის თავის სა-
კუთარ გრძობას და სურვილს ხედავს, და
სხვებშია იმავე მიზანს და ოცნებებს ჰპოუ-
ლობს, როგორც თვითონ უგრძობია „მას
ჟამსა შინა.“

ეს ერთი საფუძველი.
მეორე საფუძველი ის არის, რომ ბებერი
ტურფა ხედავს, რა ნაირათ იქცევის ახლგაზდა
ქალი საზოგადო ყურადღებას, რა ალტაცებით
ეხვევა იმას ახალგაზდაობა, და, სხარბით, ამ
ყურადღების მიქცევას ახალგაზდა ქალის
შნოს და ძალას კი არ აბრალებს, არა. ის ფი-
ქრობს, რომ ახალგაზდა ქალმა იოტატა,
ილაკა და გაიძვერობით, სიკვლეუთით ახალ-
გაზდაობას თავბრუ დახვია.

ამ გეგმა სჯაში—როგორც ყველთვის—
კაცს ნიადაგ თავი ი საკუთარი მოქმედება აქვს
სახეში; და თუნდ მისი წასრული ცხოვრება
იმის მაგალითისავე წარმოგვიდგენდეს, რომ
იმას თვითონ ამოთ ენატროს და ეძიოს, გაი-
ძვეროულათ, ოინებით, სიკვლეუთით და სხვ.,
საზოგადო ყურადღების მიქცევა, ის თავის
დღეში თავის თავსაც არ გამოუტყდება და არ
იფიქრებს, აკი მეც ვიზიჯე ეს, და მაინც ცა-
რიელი დაერჩიო. ის თავის დაპარცხებას და
სხვის გამარჯვებას ნამდელი შნოს და ახალ-
გაზდაობას კი არ მიაწერს, მაშინვე იმას იფი-
ქრებს, მე მარტო იმისთვის დავმარცხდიო,
რომ მაგნაირათ ურიგოთ არ მოვიქე-
ციო.

ეს შენიშვნა მარტო ბებერი ქალს კი არ
შეეხება. მისაც ცხოვრებაში რამე ძალა აქვს,
ან რისიმე გარიგება, გაკეთება მოუხერხებია,
იმას ნიადაგ სდევს უძლიერი და უნიჭო პირე-
ბის შური და ცილისწამება. უხერხულად
თავის დღეში ვერ მიაწევს თავის ქუთით იმ
აზრამდ, რომ მისი უხერხობის, მისი უსაქ-
მიობის და უფარგისობის მიზეზი მისი უძლი-
ერება, და სხვას, ძალუნს და შემძლე პირს
სრული პატიოსნებით ბევრი ხერხიანი საქმის
გარიგება შეუძლია.—როგორც შნოიან, ლა-
მაზ ახალგაზდა ქალს, მარტო თავი ი ლაზა-
თით და ახალგაზდაობით, უკვლეუცოთ, უოი-
ნოთ შეუძლია კაცის გული აძვეროს და
თავის თავი შეაყვაროს, ისე, სწორეთ ისე
შეუძლია საქმის გარიგება ნამდელი ძალის
მქონ კაცს, სწორეთ ისე შეუძლია იმას—
უოინოთ, თავის თავის და სხვის დაუმდაბლე-
ბლათ—სხვების გულის და ტენის გატაცება
და თავის მიზნისკენ მიმართვა.

ამას თავის დღეში ვერ გაიგებს ის კაცი,
რომელსაც ძალა არა აქვს სხვაზე გავლენა
მოიპოვოს, თუ არა დატყუებით, პირმოთნო-
ბით და სხვა და სხვა ნაირი ოინებით. იმას
მუდამ ის აზრი ექნება თავში, რომ ყოველი
კაცი, რომელიც კი რასმე აკეთებს და სხვებს
ამოქმედებს, მარტო მდამალ და დამდაბლე-
ბელ საშუალებებს ხმარობს თავის მიზნის მი-
სახველათ.

შირებულთა კაცის ბუნება! იმას სისხლის

დღედა, ან—როგორც ერთი ჩემი მეგობარი
ამბობს— „სისხლის ქელი“—ლუქმა პურივით
სჭირია... და ჩვენ უქმ ტენის, რომელსაც სა-
კუთარი მოძრაობა არ ღირსებია, რომელიც
თვითონ ვერ აღვლევს თავის სისხლს და
გრძობას, ცხენები და ჯამბაზები ხანდისხან
მაინც უნდა უხიჩინებდენ...

მე შევედი დღეს ამ ცირკში. საზოგადო-
ბა... არა, საზოგადოებას თავი დაეანებოთ.
სჯობს ცხენებზე და ჯამბაზებზე ვწერო, ამი-
ტომ რომ ისინი ჩემ წაწერს ვერ წაიკითხავენ,
და, მაშასადამე, ძრახვას ვერ დამიწყებენ, და,
თუნდ რომ დაიწყონ, მათ ძრახვას ყურადღე-
ბას ამა ვინ ათხოვებს?

ცხენები ჩინებულთ გაუწრფენიათ. საკვირ-
ველია, ხუმრობა გაშვებით, ის გარემოება,
რომ გონიერი და ხერხიანი კაცი ცხენს გა-
წერთნას ასე ადვილათ ახერხებს,—ისე პირდა-
პირ მიპყავს წინ, ისე დროზე აჩერებს, დრო-
ზე გამბედაობას აძლევს და დამკვიდრებელ ლა-
ბებზე ახტუნებს, ამაყად აყენებს უკანა ფე-
ხებზე,—მაშინ, როდესაც ასე ძნელი ყოფი-
ლა ვერების გაწერთნა და გამოყენება...

ცირკში ჩემი ყურადღება ერთმა უბედურ-
მა ჯამბაზმა მიიქცია. ზამხდარი, თვალბე ჩარ-
ღმებელი ახალგაზდა გამოვიდა საზოგადო-
ების წინ, და, მისი ყურადღების გასართობ-
ლათ, ორჯერ სამჯერ ისეთი მალაყი გადია-
რა, რომ, მივიერს, კისერი როგორ არ დაინ-
ტრობა? საზოგადოება გულგრილათ დარჩა,
და გამხდარმა ახალგაზდამ ორჯერ სამჯერ და-
ღონებულათ გაიარ-გამოიარა სცენაზე.—მე მი-
ვინებდე სიზოგადოებისკენ, მინდოდა მისი
გრძობა შემენიშნა.—...როცა მე ხელ-ახლავ
ცირკს მიუბრუნდი, დავინახე, რომ გამხდარ
ახალგაზდას ორი ხიშტი მიენიშნა თავის გუ-
ლისკენ, და ამ საშიშ ნაირათ მალაყის გადა-
სვლა გაეზრანა. მე ხელ-ახლავ მიუბრუნდი
ჩემ მეზობლების პირისხასეს... მერმე იმა-
ვე ახალგაზდამ ხიშტები კისერზე მიიწინა და
ისე გადიარა ზედი-ზედ ორი სამი მალაყი. მა-
გრამ მე საზოგადოებისკენ აღარ მივბრუნდი...

მარგი, ვფიქრობდი მე, ეს საბრალო ახალ-
გაზდა დღეს ხიშტს გადარჩა, და საზოგადოე-
ბა ეხლა იმას ტაშს უტრავს. მაგრამ წარმო-
ვიდგინოთ, რომ რამე ხიფათით იმას ფენი და-
უცდა და ორივე ხიშტმა გულის გაუარეს და
ზურგში თავი ამოყვეს.—მაშინ რა? რა დარ-
დი აქვს მცქერალს. იმან ხომ შესასვლელი
ათი შაური ან მანეთი გადახდა, თავის მო-
ვალეობა ასრულა! თუ ვინდათ, ამ სურათის
მნახავი და სისხლის დანახვით აღშფოთებული
მცქერალი ერთ ორ შებრალების სიტყვასაც
დაუტოვებს მოკლულ ახალგაზდას: „ს. წყალი,
იტყვის, რა მარდი იყოო!“ ან „მა ეს რა ხი-
ფათი მოხდაო!“

ასე...
ასე, კიდევ, იტენს კაცი თავს მკითხველის
გასართობლათ, მთასა და ბარს ედება, შესა-
ფერ სურათს, მაგალითს და სიტყვას გამწარე-
ბულათ ეძებს... ჰკარგავს, ხელ ახლათ სხვას
ჰპოულობს და ამ უბედურ, თითქმის უსარგებ-
ლო შრომაში დღეს თავის ნიჭს და ძალას,
რომელიც უფრო სახიერო ასპარეზის ღირსია...
რა დარდი აქვს მკითხველს, რა უნდა მოთხო-
ვოს იმას მწერალმა? ნეტავი მწერალს, თუ
მისმა შრომამ ცოტა ოღნათ მაინც მიიქცია
მკითხველის ყურადღება, სხე ნაირ სანახავე-
ბით დაღლილი და გართული; ნეტავი იმას,
თუ ერთი წუთის ვადით მაინც გააღვიძა მისი
გრძობა... მეტი იმას რა უნდა უნდოდეს? ზა-
ნა მე ათ ღირს მისი

შუტი, писанный кровью?
ბ. სკანდელი.

კიდევ „მნათობს“

„აბა მუშის კრივი მნათობს, ვინა ვარ!“
თ. ბრიგ. მარბელიანი

მარშან ამდროს მე დავბეჭდე „დროებაში“
(№ 16) ოციოდე სტრიქონი „მნათობის“
პირველ წიგნზე და ცოტა ხნის შემდეგ, რო-
ცა „მნათობა“ თავის პასუხში დაწერილი-
ბული სჯა მომხიზოვა, ორი უშველებელი,
გრძელი სტატია დაწერე, ჩემი პირველი სჯის
დასამტყიცებლათ.

მხლა, „მნათობის“ პირველ წიგნში, უფ.
მოსე შიქოძე თავის პასუხს ბეჭდავს. და იმ
სტატიებს, რომელზედაც არავის სახელი არ
ეწერა, და რომელნიც, მაშასადამე, ყველას
„დროების“ რედაქციის აზრის გამოთქმათ
უნდა ჩაეთვალათ, „მნათობის“ მწერალი ვი-
ლაცა „მენიოსს“, „საქართველოს ლამაზარს“
და სხვ. აწერს. უფ. შიქოძე ისეთი მწერალი
ყოფილა, რომელსაც წინააღმდეგათ უსათუ-
ოთ რომელიმე პირი უნდა ყავდეს, რომელ-
ზედაც იმას თვისი ჯავრის ამოყრა შეეძლოს.
მე დიდის სიამოვნებით და გულკეთილობით
დავამყოფილებ მის სურვილს, და ჩემ თავზე
მივთითებ, იმ აზრით, რომ დღეის იქით,
როცა უფ. შიქოძეს თვალის წინ, უხორცო
„დროების“ მაგივრათ, ხორციელი ნ. სკანდელი
ეყოლება, იქნება მისმა აღშფოთებულმა გრ-
ძობამ და მიზნის ხორციელებამ ხერხიანი
რამე დააწერინოს.

„ხერხიანი რამე დააწერინოს“ იმისთვის
ეთქვი, რომ მე, ღმერთმანი, მრცხენია ამის-
თანა სუსტ წინააღმდეგთან ბრძოლაში შებმა.
მისაც ჩვენი დავა სასარგებლო რათმე მიაჩნია,
იმას შეუძლია ჩვენი სტატიების გარდაკითხვა.
ის დანახავს, რომ ყველაფერზე, რაც კი ეხ-
ლა უფ. შიქოძეს დაუწერია, დაწერილებული
და დამშვიდებული პასუხი თვით იმ ჩემ სტა-
ტიებში იპოვება, რომლებზედაც ეხლა უფ. ში-
ქოძე პასუხს მაძლევს. მაშ რაღა პატიოსნება
და სულგრძელება იქნება ჩემის მხრით, სუსტი
წინააღმდეგი რომ დავიჭირო და, ჩემი წერილ-
მანი, უხერხო თავმოყვარეობის დასაკმაყოფი-
ლებლათ, მისი სისუსტე საქვეყნოთ გამოვააშ-
კარო? ადვილი, უეჭველი გამარჯვება იაფი
კი არაა მარტო, ხერხიანი კაცის თვალში:
ის სულმოკლეობის ნიშანია და საძრახისია;
მე არ მინდა ამ ნაირ სულმოკლე პირათ დაე-
ნახო ჩემი თავი მკითხველს და საზოგადოებას.

მართალია, მე მმართებს უფ. შიქოძის პასუხი
მხოლოდ იმიტომ, რომ მისი პირით ლაპა-
რაკობდა მთელი ქურნალი, „მნათობი.“ მაგ-
რამ იმ განცხადებისაგან, რომელიც „დროე-
ბის“ და „სასოფლო გაზეთის“ წინანდელ
ნომრებში დაბეჭდა ამ ქურნალის რედაქციამ,
სჩანს, რომ ეხლა ამ რედაქციაში სხვა პირები
იღებენ მონაწილეობას, უფ. დიმიტრი ბაქრაძე,
ანტ. შურცკლადე, ბ. იოსელიანი და სხვ.
უფ. შიქოძეს ბრძოლაში რომ შეეება და
„მნათობს“ მის გულისთვის პოლემიკა აეუ-
ტეხნო, ამ პირებს, რასაკვირველია, სრული
ნება ექნებათ მითხრან, ეხლანდელი „მნა-
თობი“ თქვენ საბრძოლველ საგნებზე სულ
სხვა აზრისაა, და თქვენი ბრძოლა ეხლან-
დელ ქურნალის მიმართულებას არ შეეხებაო.
ამის გამო პოლემიკა ჩემის მხრით მარტო
სულმოკლეობის ნიშანი კი არა, უსარგებლო
და ფუჭი საქმეც აქნება.

მაგრამ იმ საგნებზე, რომელნიც მე მარ-
შან „მნათობს“ წარუდგინე, ბევრი რამ
ითქმის კიდევ სახიერო მკითხველი საზოგა-
დოებისთვის. თუ „მნათობი“ ეხლაც ამ
აზრისაა, მე უპირჩილვად ეთხოვ მის თანა-
მშრომლებს შემდეგ, მეორე წიგნში დაბეჭ-
დონ, რას ფიქრობენ ისინი ჩვენ პოლემიკაზე.
თუ ისინი უფ. შიქოძის აზრის არიან, თქვენ ამ

აზრისა ვართო, და მაშინ მე „მნათობის“
გულისთვის—ხელახლავ მარტო მწიგნოს—დამეუბ-
რუნდები, და ხელახლავ გამოვიწვი როგორც
ჩვენ სადავო საგნებს, ისე ზოგიერთ სხვებსაც.
მაგრამ ამ შემთხვევაში, „მნათობა“ უსათუ-
ოთ უნდა მითხრას ეხლავე თავისი აზრი უფ.
შიქოძის სტატიაზე: რა და რა აზრებზე ეთან-
ხმება ის უფ. შიქოძეს, ყველაზე, თუ მარტო
ზოგიერთზე, რა აზრისაა ის ამ სტატიის
სისუსტეზე, ერთი სიტყვით უნდა თქვას ან
ეს ჩვენი აზრის ნამდელი გამოხატვაა, ანა-
და: ჩვენ ამ სტატიას არ ვეთანხმებით, აი ამ
საგანზე ჩვენი აზრია.

თუ „მნათობა“ ამ საგანზე კატეგორი-
ული პასუხი არ მომცა, შემდეგ წიგნშივე,
მკითხველს ეცოდინება, რომ მისი აზრით
მარშანდელ „მნათობთან“ ბრძოლაში მე
მართალი ვიყავი, რომ ჩემი აზრები ეხლანდელ
„მნათობს“ მოსწონს და შიქოძის სტატია
მეტის მეტ სუსტ თხზულებათ მაჩნია.—

და როცა „მნათობი“, თავისი პასუხით,
პოლემიკის საჭიროებას დამანახევებს, მე დი-
დის სიამოვნებით შევეხებები საბრძოლველათ
მის თანამშრომლებს, ყველას ერთათ და
თითოეულს ცალ-ცალკე, როგორც თვითონ
„მნათობს“ ესურება. და რადგან პოლემი-
კა მე სახუმრო და სათამაშოთ არ მიმიჩნია,
მე ეთხოვ „მნათობის“ ყველა თანამშრო-
მლებს—უფ. შიქოძით და უქიქოძოთაც—
კარგა ხერხიანათ დამხსოვრონ ჩემი და
თავიანთი ბეჭდვით გამოთქმული აზრები,
რომ შემდეგში, ბრძოლის დროს, არავის არ
შეეძლოს თქმა: ეხლა მე მაგ აზრის აღარა
ვარ, სხვა ნაირათ ვფიქროფო.

მაშ, გამობრძანდით, თუ ხალისი გაქვთ.
ბ. სკანდელი

ბიბლიოგრაფიული ცნობა
სიტყვანი და მოძღვრებანი, თქმულ-
ნი იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრილიის
მიერ, დაბეჭდილნი მეორეს გამოცემით,
რომელი არის შეესებული 73 ახლითა
ქდაგებითა, ისყიდებიან: თფილისში, სასუ-
ლიერო სემინარიაში ი. ზოგებაშვილისას,
და ალადათოვის წიგნების მაღაზიაში, ქუ-
თაისში—თვით ეპისკოპოსის სახლში. შასი-
ეგზემპლიარისა სქელ ქალაღზედ დაბეჭ-
დილის ორი მანეთი, თხელზედ—მანეთ-ნა-
ხევარი.

ი ს ქ ი დ ე ბ ა

თფილსში შ. ტერგრიჭორიანის შ. ალადათოვის წიგ- ნის მაღაზიაში.	ქუთაისში შ. სიმონ ჩოპიძის- თან, პრინცი სტამ- ბაში.
---	--

თითო შაურია.

1.—**საწერი რეპუბლიკა**, სურათებით
შედგენილი შკოლებისთვის. ამ რვეუ-
ლით ყმაწვილი ადვილათ მსწავლობს
ქართულ წერასა.

2.—**ქაბა აწონა**, ახალი კომედია
ორ მოქმედებათ.

თფილისს გარეშე მცხოვრებლებს შეუ-
ძლიანთ ფონტით მოითხოვონ ეს წიგნები
შ. ტერგრიჭორიანისგან, არცერთის
ქარვასლაში.